პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1949 წ. № 241 (8544). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი აღვნიშნოთ ახალი საწარმოო წარმატებებით!

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდის ცნობები ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შესახებ.

მიმდინარე წელი აღინიშნა მასების შესანიშნავი პატრიოტული ინიციატივის მრავალი ახალი გამოვლინებით. მაგრამ არახოდეს სოციალისტური შეჯიბრებისა და სტაწანოვური მოძრაობის ტალღა არ აზვირთებულა ისე ძლიერად, როგორც ამ დღეებში, როცა საბჭოთა ქვეყანა ემზადება შეხვდეს მთელი ხალხისათვის ღირსშესანიშნავ და ძვირფას თარიღს — ხალხთა დიდი ბელადის, მთელი მშრომელი კაცობრიობის საყვარელი მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამოცდაათი წლისთავის დღეს.

ქარხნებსა და ფაბრიკებში, მაღაროებსა და შახტებში, მშენებლობებსა და რკინიგზებზე მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები კისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს — გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო გეგმები, რათა სოციალისტური მშენებლობის საქმეში თავიანთი წვლილით აღნიშნონ ღირსშესანიშნავი თარიღი.

კუზნეცკის მეგალურგიული კომბინატის, გორკის საავტომობილო ქარხნის და ბალახნის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის კოლექტივთა ვალდებულებანი

ი. ბ. სტალინის სახელობის კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის — სტალინური ხუთწლედების პირმშოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ კომბინატის მოწინავეთა მოწოდებას — ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნონ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავი.

ყველა ცვლაში შედგა მუშათა საერთო კრებები, რომლებზეც ერთსულოვნად იქნა მიღებული გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომით კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით გამოუშვან მნიშვნელოვანი რაოდენობით თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, კოქსი, მადანი, შეასრულონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 1949 წლის 21 დეკემბრისათვის. კუზნეცკელები ახალი ენერგიით შეუდგნენ ამ ვალდებულებათა შესრულებას. საამქროებში, ბრიგადებში, უბნებზე გაჩაღდა დაძაბული მუშაობა. დასტურდება ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვები, რომ სოციალისტური შეჯიბრება არის „სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე“.

• • •

გორკის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს სურთ ღირსეულად შეხვდნენ შესანიშნავ თარიღს—ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამოცდაათი წლისთავს.

ქარხნის კოლექტივმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება სასაქონლო და საერთო პროდუქციის საწარმოო პროგრამის ვადამდე 1949 წლის 21 დეკემბრისათვის შესასრულებლად. გადაწყდა წლიური გეგმის გადამეტებით სასაქონლო და საერთო პროდუქცია გამოშვებულ იქნას სულ მცირე 100 მილიონი მანეთისა; 500 მანქანის გადაჭარბებით შესრულდეს მსუბუქი ავტომობილების გამოშვების 1949 წლის გეგმა და გადაჭარბებით შესრულდეს „პობედას“ მარკის მანქანების გამოშვების მეოთხე კვარტალის გეგმა; გადიდდეს პროდუქციის გამოშვება ძირითად მექანიკურ საამქროებში საწარმოო მოწყობილობის ერთეულზე 48 პროცენტით 1949 წელს და 95 პროცენტით 1950 წელს, 1948 წელთან შედარებით.

ამ ვალდებულებათა გარდა მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება 2.500 კვადრატული მეტრის გადაჭარბებით შესრულდეს სამეურნეო წესით საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ავტოქარხნელები ღირსეულად შეასრულებენ ამ ვალდებულებებს და შესანიშნავ დღეს 21 დეკემბერს უპატაკებენ სამშობლოსა და ჩვენ ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს თავიანთ ახალ საწარმოო წარმატებათა შესახებ.

• • •

მამობრივი ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და საბჭოთა სამშობლოს ძლიერების ზრდისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს შესანიშნავი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბალახნის ძერჟინსკის სახელობის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მშრომელები ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა კრებებზე განიხილეს, თუ რით შეუძლიათ მათ აღნიშნონ ისტორიული თარიღი, და გადაწყვიტეს 1949 წლის 21 დეკემბრისათვის შეასრულონ ქაღალდის გამომუშავების 1949 წლის სახელმწიფო გეგმა და გამოუშვან 12.800 ტონით მეტი ქაღალდი, ვიდრე მთელი 1948 წლის განმავლობაში. 1949 წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 12 მილიონი მანეთის პროდუქცია, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 2 მილიონი მანეთით.

• • •

იკისრეს რა ეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, სტალინის სახელობის კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის, გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ბალახნის ძერჟინსკის სახელობის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა ცვლისა და საამქროს კრებებზე უსურვეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს ჯანმრთელობა, ძალა და მრავალი წლის შემოქმედებითი შრომა საბჭოთა სამშობლოს მშრომელთა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის ქარხნების კოლექტივთა ვალდებულებანი

სამსხმელო მანქანების მოსკოვის ქარხნის „კრასნაია პრესნიას“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნონ 21 დეკემბერი — ამხანაგ სტალინის დაბადების დღე. მათი ვალდებულებებია:

ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისათვის დამთავრდა, გამოუშვან 5 მილიონი მანეთის მაღალნაყოფიერი სამსხმელო მოწყობილობა, მათ შორის 41 საყალიბო და 30 მიწის მოსამზადებელი მანქანა.

დაზოგილი ლითონის ხარჯზე კიდევ გამოუშვან გეგმის გადამეტებით სამსხმელო მოწყობილობის 10 ერთეული.

გეგმის გადამეტებით აითვისონ ახალი მაღალნაყოფიერი 287 მარკის საყალიბო მანქანა და 21 დეკემბრიდან გადასცენ იგი სერიულ წარმოებაში.

ზეგეგმითი დაგროვების საერთო თანხა აიყვანონ 2 მილიონ 400 ათას მანეთამდე.

მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების 3 პროცენტით გადიდებას მეოთხე კვარტალთან შედარებით.

შეამცირონ მთელი პროდუქციის თვითღირებულება 3,5 პროცენტით.

დაამთავრონ მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადასცენ მანქანური დაყალიბების საამქრო.

ერთი მილიონი მანეთის გადამეტებით 21 დეკემბრისათვის დამატებით გაათავისუფლონ ქარხნის საბრუნავი სახსრებიდან კიდევ 200 ათასი მანეთი სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

უზრუნველყონ მხოლოდ ფრიადი და კარგი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

სამსხმელო მანქანების მოსკოვის ქარხნის „კრასნაია პრესნიას“ მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები უსურვებენ საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს მრავალ წელს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას ჩვენი მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

• • •

ქარხანა „კომპრესორის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივმა გადაწყვიტა მთელი საბჭოთა ხალხისათვის ძვირფასი თარიღი — ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავი აღნიშნოს ახალი წარმატებებით მუშაობაში:

20 დეკემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5 მილიონი მანეთის მზა პროდუქცია და 1950 წლის იანვარში დაამთავრონ ქარხნის ხუთწლიანი გეგმა მოცულობის მიხედვით.

გეგმის გადამეტებით გამოუშვან 45 მაცივარი კომპრესორი, დაამზადონ მოსკოვის საგაზო მეურნეობისათვის ხუთი მძლავრი ტუმბო, ხორცისა და რძის მრეწველობისათვის ერთი მძლავრი მაცივარი.

გაათავისუფლონ 1.000 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი და 49 პროცენტით გაადიდონ ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე პროდუქციის მიღება 1948 წელთან შედარებით.

ჭრის ჩქაროსნული რეჟიმებისა და სამუშაო პროცესების ავტომატიზაციის დანერგვის შედეგად 29 პროცენტით გაადიდონ პროდუქციის მიღება მოწყობილობის ერთ ერთეულზე 1948 წელთან შედარებით.

მოაწყონ ქარხანაში კოლექტიური, სტახანოვური მუშაობა:

დაამთავრონ 20 დეკემბრისათვის კოსინოს საქარხნო დაბის საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გადასცენ საექსპლოატაციოდ ცენტრალური საქვაბე, კანალიზაცია და წყალსადენი, ჩაასახლონ მუშები რვაბინიან სახლში.

ქარხანა „კომპრესორის“ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები უსურვებენ საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს მრავალი წლის სიცოცხლეს და პირობას აძლევენ მას, რომ თავიანთი თავდადებული სტახანოვური შრომით უფრო მეტად განამტკიცებენ ჩვენი სახელოვანი და საყვარელი სამშობლოს ძლიერებას.

რკინიგზელთა სოციალისტური ვალდებულებანი

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური გეგმით აღფრთოვანებულმა მოსკოვ-დონბასის გზის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა შეფიცეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს, რომ არ დაიშურებენ ძალსა და ენერგიას, რათა ღირსეულად შეასრულონ ის მოთხოვნები, რასაც მათ უყენებენ განუწყვეტლივ მზარდი სოციალისტური მეურნეობა და ჩვენი ქვეყნის სწრაფად მზარდი საწარმოო ძალები.

მოსკოვ-დონბასის გზის რკინიგზელებმა იკისრეს წელს გეგმის გადამეტებით დატვირთონ 14.000 ვაგონი ქვანახშირი, დაჩქარონ ვაგონის ბრუნვა 2 საათით ნორმასთან შედარებით, 2,5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, 3,5 პროცენტით შეამცირონ სათბობის ხარჯი საზომზე ნორმასთან შედარებით, 2 პროცენტით შეამცირონ გადაზიდვათა თვითღირებულება გეგმასთან შედარებით.

ეს ვალდებულებანი ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდა. სტალინური კონსტიტუციის დღისათვის ვაგონის ბრუნვა წლიურ დავალებასთან შედარებით 2,9 საათით დაჩქარდა, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა, 13,6 პროცენტით შემცირდა სათბობის ხარჯი საზომზე, გადაზიდვათა თვითღირებულება შემცირდა 6,4 პროცენტით, გზამ მიიღო 10,5 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი ეკონომია, დაჩქარდა სახსრების ბრუნვა, რამაც შესაძლებელი გახადა ბრუნვიდან 5 მილიონი მანეთის განთავისუფლება.

ეს წარმატებანი გზის კოლექტივმა მოიპოვა ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე.

მოაწყო რა სადგურების, შახტებისა და სხვა საწარმოთა მისასვლელი გზების მუშაობა ერთიანი ტექნოლოგიური პროცესით, გზის კოლექტივმა მიაღწია მაგისტრალის ძირითადი ტვირთის — ქვანახშირის რიტმულ დატვირთვასა და გადაზიდვას.

გზაზე გაჩაღებული ხუთასოვანთა მოძრაობა უზრუნველყოფს ტვირთის თავის დროზე გადაზიდვასა და მიწოდებას ელექტროსადგურებისათვის, ქარხნებისათვის, ფაბრიკებისა და ქალაქებისათვის.

გზაზე ლოკომოტივების 500 კილომეტრიანი სადღეღამისო გარბენისათვის ბრძოლის ინიციატორები გახდნენ მაგისტრალის წარჩინებული მემანქანეები ამხ. დრასილნიკოვი, პოვალიაევი, კსიუნინი, ერმაკოვი და სხვები.

ემზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის შესანიშნავ თარიღს, მოსკოვ-დონბასის გზის რკინიგზელებმა იკისრეს 33 ათასი ვაგონის გადაჭარბებით შეასრულონ ქვანახშირის დატვირთვის წლიური გეგმა, 3 საათით დაჩქარონ ვაგონების ბრუნვა, 7 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით 6,5 პროცენტით შეამცირონ გადაზიდვათა თვითღირებულება და 12 მილიონ მანეთამდე აიყვანონ ზეგეგმითი ეკონომია, უზრუნველყონ სამგზავრო მატარებლების ზუსტი მოძრაობა და მგზავრთა კულტურული მომსახურება.

გზის თვითეული კოლექტივის და თვითეული მუშის ჩაბმით სოციალისტურ შეჯიბრებაში რკინიგზელები ღირსეულად შეასრულებენ ნაკისრ ახალ ვალდებულებებს.

სტალინის რკინიგზის რკინიგზელებმა პირობა მისცეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს, რომ გადამეტებით შეასრულებდნენ შავი ლითონების, მადნის და სხვა ნედლეულისა და მასალების დატვირთვის გეგმას. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება გზის მთელი კოლექტივი. სტალინის მაგისტრალის მუშაკები დაუღალავად შრომობდნენ, რათა ღირსეულად შეესრულებინათ მიცემული სიტყვა. ეს ვალდებულება შესრულებულია.

1949 წლის თერთმეტი თვის განმავლობაში გზამ გეგმის გადამეტებით დატვირთა მადანი და შავი ლითონები, საწვავის ხარჯვა 6,4 პროცენტით შეამცირა ნორმასთან შედარებით. ათი თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით მიღებულმა მოგებამ შეადგინა 27.657 ათასი მანეთი ნაცვლად 12 მილიონი მანეთისა, რაც ვალდებულებებშია აღნიშნული. საბრუნავი სახსრებიდან განთავისუფლებულია 8.407 ათასი მანეთი. სამუალო სადღეღამისო გადმოტვირთვა 1948 წელთან შედარებით გაიზარდა 41,5 პროცენტით, მადნის საერთო გადმოტვირთვა გაიზარდა 35,6 პროცენტით, შავი ლითონებისა — 45,6 პროცენტით, მარცვლეულისა — 5,1 პროცენტით.

სტალინის რკინიგზის რკინიგზელებმა გადაწყვიტეს ღირსეულად შეხვდნენ ღირსშესანიშნავ თარიღს — ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავს. მუშათა კრებებზე მათ იკისრეს დამატებითი ვალდებულება — წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით დატვირთონ 30 ათასი ვაგონი სახალხო-სამეურნეო ტვირთები, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, გააუმჯობესონ გზის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, მატარებლებში და სადგურებზე მგზავრთა მომსახურებაში დაამყარონ სანიმუშო წესრიგი.

სტალინის მაგისტრალის რკინიგზელთა კოლექტივი ყველა მშრომელთა მამასა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს უსურვებს ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის საბედნიეროდ და სასიხარულოდ.

• • •

საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად პოლტავის ყდანოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ორთქლმავალ-შემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ახალი ვალდებულება იკისრა — ორთქლმავლების შეკეთების წლიური გეგმა შეასრულოს 1949 წლის 21 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით კაპიტალური რემონტი გაუკეთოს 8 ორთქლმავალს ქარხნის ძირითადი სახსრების უკეთ გამოყენების ხარჯზე.

1949-50 წლის ზამთრის პირობებში რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 8 მილიონი მანეთის პროდუქცია, 4 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და 8 პროცენტით შეამციროს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

ქარხნის კოლექტივი პირობას აძლევს ამხანაგ ი. ბ. სტალინს, რომ ღირსეულად გაამართლებს მაღალ ნდობას, რაც მას აღმოუჩინეს ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ და პირადად ძვირფასმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 30 ტონა თამბაქო

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა 100,1 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანი ამხ. ჭანუყვაძე და მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ანთიძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 30 ტონა თამბაქო.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 4.000 ცენტნერი სოია

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა 115 პროცენტით შეასრულეს სოიის დამზადების წლიური გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 4.000 ცენტნერი სოია.

ტყიბულის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, ადლიის, ბაკურიანის, ბორჯომის, ბაზალეთის, ფოთის, ზუგდიდის, ფაბრიკებისა და ქარხნების კოლექტივთა ვალდებულებანი

ტყიბულის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, ადლიის, ბაკურიანის, ბორჯომის, ბაზალეთის, ფოთის, ზუგდიდის ფაბრიკებისა და ქარხნების კოლექტივებმა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი ღირსეულად აღნიშნეს ახალი საწარმოო წარმატებებით.

ტყიბულელ მეშახტეებმა ამ ოთხ დღეში ანთრაციტის ამოღებაზე 1.000 ტონა ანთრაციტი ზეგეგმითი ეკონომიის ფონზე ამოიღეს. ტყვარჩელელ მეშახტეებმა ამ ოთხ დღეში ანთრაციტის ამოღებაზე 1.000 ტონა ანთრაციტი ზეგეგმითი ეკონომიის ფონზე ამოიღეს. ოჩამჩირელ მეშახტეებმა ამ ოთხ დღეში ანთრაციტის ამოღებაზე 1.000 ტონა ანთრაციტი ზეგეგმითი ეკონომიის ფონზე ამოიღეს. ადლიელ, ბაკურიანელ, ბორჯომელ, ბაზალეთელ, ფოთელ, ზუგდიდელ ფაბრიკებისა და ქარხნების კოლექტივებმა ამ ოთხ დღეში ზეგეგმითი ეკონომიის ფონზე ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი აღვნიშნოთ ახალი საწარმოო წარმატებებით!

საბჭოთა მრეწველობის მუშაკთა ვალდებულებანი

ხატყეო მრეწველობის მუშაკები ემზადებიან, რათა მთელი საბჭოთა ხალხისათვის ღირსშესანიშნავ თარიღს — ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავს—ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ.

მოლოტოვის სახელობის ხე-ტყის სახერხი ქარხნის, საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი სახერხი ქარხნის, კოლექტივმა გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესასრულებლად 1949 წლის თერთმეტ თვეში საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში გამოუშვა 15,7 პროცენტით და დახერხილი მასალა 34 ათასი კუბური მეტრით მეტი, ვიდრე 1948 წლის განმავლობაში.

შეგნებული აქვს რა მთელი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე დახერხილი მასალით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფისათვის, ქარხნის კოლექტივმა იკისრა ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — 1949 წლის 21 დეკემბრისათვის — შეასრულოს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა უცვლელ ფასებში და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 500 ათასი მანეთის პროდუქცია, ამავე თარიღისათვის შეასრულოს დახერხილი მასალის გამოშვების წლიური გეგმა და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დაამზადოს 15 ათასი კუბური მეტრი დახერხილი მასალა, მისცეს ქვეყანას სამი მილიონი მანეთი მოგება.

• • •

ქალაქ არხანგელსკის ლენინის სახელობის ხე-ტყის სახერხმა ქარხანამ 1949 წლის 1 ნოემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა უცვლელ ფასებში, მუშათა შრომის ნაყოფიერება გაადიდა 15 პროცენტით ომამდელ 1940 წლის დონესთან შედარებით.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების დღისათვის ქარხნის კოლექტივმა იკისრა:

ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით 21 დეკემბრისათვის დამატებით გამოუშვას უცვლელ ფასებში 1,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საერთო პროდუქციის წლიური გეგმა უცვლელ ფასებში შეასრულოს ამა წლის 12 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე გამოუშვას 500 ათასი მანეთის პროდუქცია უცვლელ ფასებში და 1.100 ათასი მანეთისა გასაყიდ ფასებში.

წლის ბოლომდე სამეურნეო საჭმიანობით მოგვცეს 4.200 ათასი მანეთი დაგროვება.

ქარხნის კოლექტივის მუშები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და იკისრეს გამომუშავების ნორმები წამყვან მოწყობილობაზე სულ მცირე 140 პროცენტით შეასრულონ.

იბრძვის რა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, კოლექტივმა იკისრა პროდუქციის ხარისხი გააუმჯობესოს 15 პროცენტით გეგმით დასახულთან შედარებით. დამატებითი მოწყობილობის ამუშავებისა და არსებული მოწყობილობის დატვირთვის გადიდების გზით დამატებით გამოუშვას 120 ათასი მანეთის პროდუქცია.

რსფსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს იაროსლავლის ქარხანა „პარიზის კომუნის“ მუშებმა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს ინდივიდუალური ვალდებულებანი — გამომუშავების ცვლის ნორმები შეასრულონ სულ მცირე 140-150 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გასაყიდ ფასებში 1949 წლის 11 ოქტომბრისათვის შეასრულა.

მეოთხე კვარტალში ქარხანა მუშაობს 1950 წლის ანგარიშში, და 1949 წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 5.500 ათასი მანეთის პროდუქციას.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა დეკემბრის გეგმა შეასრულოს ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების დღისათვის, წლიური გეგმის გადამეტებით გამოიმუშაოს 3.500 კუბმეტრი დახერხილი მასალა, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 16 პროცენტით და გეგმის გადამეტებით დაზოგოს 2.300 ათასი მანეთი.

საქართველოს მშრომელები აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად

სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივის კრებაზე

საქარხნო ლიანდაგებიდან სრიალით გასცდნენ მთავარ ჭიშკარს განახლებული ორთქლმავლები. ექსკურსანტთა ბოლო ჯგუფმაც დაამთავრა ქარხნის დათვალიერება, ხოლო სამგზავრო-სავაგონო საამქროს ჩიხიდან ორთქლმავლმა თბილისის სადგურის მიმართულებით წაიღო ახალი, კრიალა სამგზავრო ვაგონები. საამქროებში მუშები სამუშაო ტანსაცმელს კარადებში ჰკიდებდნენ, ხელს იბანდნენ.

ქარხანაში მთავრდებოდა ცვლის მუშაობა.

არაჩვეულებრივი აჩქარება იგრძნობოდა საამქროებში.

— არ დავიგვიანოთ!—ისმოდა აქა-იქ ახალგაზრდა მუშებში.

— არ დავიგვიანოთ!—მოუწოდებდნენ ერთმანეთს ძველი მუშებიც.

ხალხთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების საკითხების განსახილველად ამ დღეს, 1949 წლის 6 დეკემბერს, მუშაობის შემდეგ მოწვეული იყო მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო-საქარხნო კრება, რომელზე დასწრებაც სურდა ყველას.

მრავალი ათასი კაცის დასწრება იყო მოსალოდნელი კრებაზე. ამიტომაც გადაწყდა იგი ქარხნის ეზოში მოეწყოთ.

კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. დაშნელმა.

ინფორმაციით, თუ რა საერთო-სახალხო შრომითი აღმავლობით შეუდგა საბჭოთა ხალხი მზადებას ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის, გამოვიდა ქარხნის უფროსი ამხ. დ. მამაცაშვილი. მან მოუწოდა ქარხნის კოლექტივს ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნოს ძვირფასი თარიღი — 21 დეკემბერი.

სიტყვა წარმოთქვა მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატმა ი. ჭუმბურიძემ.

—ჩვენი საამქროს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა დამავალეს ვთქვა, —განაცხადა მან,—რომ მზად ვართ გავაძლიეროთ ბრძოლა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. პირადად მე ვდგები სტახანოვურ ვახტზე და ვალდებულებას ვკისრულობ 21 დეკემბრისათვის თვიური გეგმა 400 პროცენტით შევასრულო.

ასეთივე გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს კრებაზე სიტყვებით გამოსულებმა — საბარგო-სავაგონო საამქროს კოლექტივის სახელით ინჟინერმა გ. ბაქრაძემ, სამგზავრო-სავაგონო საამქროდან ზეინკლმა პ. ბედნაშვილმა, საქვაბე საამქროდან მექვაბე ი. ბაბაევმა, ელექტროშემდუღებელი საამქროდან სტახანოველმა შ. აფციაურმა და ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს კოლექტივის სახელით საამქროს პარტბიუროს მდივანმა ს. ფირცხალავამ.

კრებაზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ორთქლმავლებისა და იზოთერმიული ვაგონების გამოშვების თვიური გეგმის შესრულება 21 დეკემბრისათვის, 5 ტონა სპილენძის ეკონომიის გაწევა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება გათვალისწინებულზე 5 პროცენტის გადაჭარბებით.

ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უსურვებენ შობლიურ სტალინს დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას მთელი მსოფლიოს შრომელთა საკეთილდღეოდ.

ფეიქართა ვალდებულებანი

გუშინ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საამქროებში გაიმართა ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადებისადმი მიძღვნილი კრებები. კრებებზე გამოსული მუშები, რომელთა სიტყვები აღსავსე იყო საბჭოთა სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით, ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობდნენ.

საქსოვი საამქროს კომპლექტის ოსტატის თანაშემწეებმა ნ. კრიჭაშვილმა და ბ. გაბაძემ იკისრეს 21 დეკემბრისათვის 15 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ კომპლექტის გამომუშავების ნორმები, გამოუშვან მთლიანად პირველი ხარისხის ქსოვილები, ყოველმა ბრიგადამ გასწიოს 40 კილოგრამი ნედლეულის ეკონომია. სტახანოველი ო. სმირნოვა, რომელიც ოთხ დაზგაზე მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილს ქსოვს, კისრულობს დეკემბრის დავალება 120 პროცენტით შეასრულოს. გ. ახალკაცის მქსოველთა ბრიგადამ, რომელსაც საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები ბრიგადის სახელწოდება აქვს მოპოვებული და ყოველთვიურ დავალებას 110 პროცენტით ასრულებს, იკისრა დეკემბერში გეგმა 120 პროცენტით გაანაღდოს.

საქსოვი საამქროს კოლექტივმა, რომელმაც წლიური დავალება 17 ნოემბერს შეასრულა, 19 ტონა ნედლეული დაზოგა და გეგმის გადამეტებით 32.000 მეტრი პირველი ხარისხის ქსოვილი გამოუშვა, პირობა დადო ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების დღეებში კიდევ ოქსოვოს 16 ათასი მეტრი ქსოვილი, დაზოგოს 1,5 ტონა ნედლეული.

კამვოლური საამქროს საორთავი განყოფილების ოსტატის თანაშემწის კ. ანდღულაძის ვალდებულებაა მეოთხე კვარტალის გეგმა 21 დეკემბრისათვის შეასრულოს, დაზოგოს 800 კილოგრამი ნედლეული და გამოუშვას ძოლოდ პირველხარისხოვანი ხაოთი. გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს მატყლის სარჩო მანქანის ბუშამ ა. კაციაშვილმა, მატყლის საჩეჩი განყოფილების ოსტატის თანაშემწემ ე. გაბისონიამ და სხვებმა.

კამვოლური საამქროს კოლექტივმა, რომელმაც წლიური დავალება 18 ოქტომბერს შეასრულა, 115 ტონა ნედლეული დაზოგა და გეგმის გადამეტებით 144.967 კილოგრამი ნართი მისცა ქვეყანას, გადაყვიტა 21 დეკემბრისათვის კიდევ გამოუშვას 3.800 კილოგრამი ნართი.

საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა 21 დეკემბრამდე ნართის გამოშვების გეგმას 9 პროცენტით გადაამეტოს, გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, დეკემბერში მოქსოვოს ბევრად მეტი პირველი ხარისხის ქსოვილი, ვიდრე ნოემბერში, კამვოლური და საქსოვი საამქროები გადააქციოს საჩვენებელ-სანიმუშო საამქროებად.

პროდუქცია გეგმის გადამეტებით

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივმა წლიური დავალება სტალინური კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს შეასრულა და გააჩაღა მუშაობა 1950 წლის ანგარიშში პროდუქციის გამოსაშვებად. ახლა ქარხანაში უჩვეულო საწარმოო აღმავლობაა. ქარხნის კოლექტივი ემზადება იმისათვის, რომ ამხანაგ სტალინის დაბადების დღეს—21 დეკემბერს მორიგი შრომითი გამარჯვებებით შეხვდეს.

ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებაზე, რომელიც 6 დეკემბერს შედგა, მუშებმა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატმა მ. აკოფოვმა პირობა დადო დეკემბრის გეგმა 19 დეკემბრისათვის შეასრულოს. სამხმელო საამქროს ზეინკლმა ი. ხახუტაშვილმა თვიური დავალების 21 დეკემბრისათვის შესრულება იკისრა. ამწყობი საამქროს უფროსმა ი. ოსიპოვმა საამქროს სახელით განაცხადა, რომ 21 დეკემბრისათვის საამქრო გეგმის გადამეტებით 10 აბრეშუმსაქსოვ დაზგას გამოუშვებს.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა 21 დეკემბერი შემდეგ ვალდებულებათა შესრულებით აღნიშნოს: 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას დიდძალი პროდუქცია, აბრეშუმის მრეწველობას გაუმზადოს 1.040.000 მანეთად ღირებული დაზგების სათადარიგო ნაწილები, 15 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ახალი წარმატებებისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). საწარმოებში უდიდესი შრომითი აღმავლობაა. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად.

რიონჰესის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომელიც ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავისათვის მზადების საკითხს მიეძღვნა, სიტყვა წარმოთქვა სადგურის უძველესმა მუშაკმა, სამანქანო საამქროს უფროსმა ოსტატმა ამხ. ი. ვამაკიძემ.

— ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფას თარიღს, ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავს,— თქვა მან,—ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი წარმატებებით შეხვდებიან. მე ვკისრულობ 3 დღით ადრე შევასრულო აგრეგატების წლიური კაპიტალური რემონტის გეგმა, ვიმუშაო უწუნოდ და უავარიოდ. ელექტროსაამქროს უფროსმა დ. შავგულიძემ, ამავე საამქროს ოსტატმა, ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა გ. მელნიკოვმა, საექსპლოატაციო განყოფილების უფროსმა პ. კაკაჭაშვილმა და სხვებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს.

რიონჰესელებმა დაიანგარიშეს ზუსტად შეასრულონ ელექტროენერგიის გამომუშავების სადისპეტჩერო გრაფიკი, საკუთარი საჭიროებისათვის დახარჯონ 8 პროცენტით ნაკლები ელექტროენერგია, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივებმაც. მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ამხანაგ სტალინის დაბადების დღეს—21 დეკემბერს შეასრულოს, დეკემბერში პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 100.000 მანეთით, დაზოგოს 300 კილოგრამი ნართი, 30 ტონა ნახშირი და 3 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

საკონსერვო ფაბრიკის კოლექტივის გადაწყვეტილებაა 21 დეკემბრისათვის შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და გამოუშვას მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა—ქიმიურმა ქარხანამ და სატრიკოტაჟო ფაბრიკამ კარგა ხანია შეასრულეს წლიური გეგმები. ბელადის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მათ ახალი ვალდებულებანი იკისრეს. ქიმიური ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა დამატებით 50.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვას, ხოლო სატრიკოტაჟო ფაბრიკამ—200.000 მანეთისა.

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ, რათა ღირსშესანიშნავი თარიღი სოციალისტური მშენებლობის საქმეში მორიგ წარმატებათა მოპოვებით აღნიშნონ.

უმაგალითო ენთუზიაზმით

დილიდანვე ყველამ იცოდა, რომ დღის ბოლოს საქარხნო კრებაზე უნდა განეხილათ ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების საკითხები. ამიტომაც კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მთელი კოლექტივი დარაზმულად მოვიდა კრებაზე, რომელიც გახსნა საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. კ. გოგლიძემ.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივმა, — თქვა მან, — ამას წინათ მოიპოვა საამაყო ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ჩვენი საყვარელი ბელადის, ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების დღეებში უნდა შევძლოთ ახალ, უფრო დიდ წარმატებათა მოპოვება, ამ დროშის შემდგომ თვეებშიც შენარჩუნება. ეს იქნება ჩვენი საუკეთესო საჩუქარი სამშობლოსათვის, ყველა საბჭოთა ადამიანის ამ ღირსსახსოვარი თარიღის — 21 დეკემბრის აღსანიშნავად.

ტრიბუნაზეა მექანიკური საამქროს უფროსი ინჟინერი თ. დავითაშვილი.

— დიდ სტალინს მიჰყავს ჩვენი სამშობლო კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ,—განაცხადა მან. — საბჭოთა პატრიოტისათვის არა არის რა იმაზე საამაყო, ვიდრე ის, რომ ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნოს ჩვენი ბრძენი ბელადის დაბადების თარიღი.

ამხ. დავითაშვილმა განაცხადა, რომ საამქროს კოლექტივი კისრულობს 21 დეკემბრისათვის დაამთავროს ასაწყობი დაზგების დაკომპლექტება და საამქროს ყველა უბანი გადაიყვანოს ლითონის ჭრის ჩქაროსნულ მეთოდზე.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს სტახანოველებმა მლესავმა გ. ზარქუამ, ზეინკლმა ა. ბენდიანიშვილმა, ხარატმა ი. უკოლოვმა და სხვებმა.

ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად იკისრა 21 დეკემბრისათვის შეასრულოს დაზგების გამოშვების წლიური გეგმა, გაათავისუფლოს 1.500 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი, აამუშაოს 10 მძლავრი ლითონსაჭრელი დაზგა და გეგმის გადამეტებით გამოუშვას მრავალი მილიონი მანეთის პროდუქცია.

გეგმას ვადამდე შეასრულებენ

დიდი სტალინის 70 წლისთავისათვის მზადების დღეები თბილისის ავტომარემონტო ქარხანაში მძლავრი შრომითი აღმავლობით აღინიშნება.

მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებაზე, რომელიც ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავს მიეძღვნა, ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა: 21 დეკემბრისათვის შეასრულოს ავტომანქანების რემონტის წლიური გეგმა, წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას დიდძალი სასაქონლო პროდუქცია, დეკემბერში გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, დეკემბრის ბოლომდე სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანოს ქარხნის საინსტრუქტაჟო საამქრო და სხვ.

ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსმა ამხ. პ. ნაფეტვარიძემ განაცხადა, რომ მშრომელთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად საამქროს კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმება და კისრულობს ჩამოაყალიბოს პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის მებრძოლი ორი ბრიგადა, მოამზადოს და დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანოს ორი მოსწავლე ხარატი, 21 დეკემბრამდე განახორციელოს სამი რაციონალიზატორული წინადადება.

მოარავმა პ. რაკიტსკიმ და საძარე საამქროს მეთუნუქემ სტახანოველმა ა. სიმონიანმა განაცხადეს, რომ სტახანოვურ ვახტზე დადგებიან, თვიურ დავალებას 350-450 პროცენტით შეასრულებენ და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას გამოუშვებენ.

ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ამწყობი საამქროს უფროსმა ოსტატმა მ. სარქისიანმა, ხარატმა გ. ნიკულინმა, საიარაღო საამქროს უფროსმა გ. მანასარიანმა და ზეინკლმა მ. ტიშჩენკომ.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲖᲔ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 4 დეკემბერი. (საკდესი). გამომცემლობაში „ქარტეა რუსა“ („რუსული წიგნი“) რუმინულ ენაზე და რუმინეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენებზე მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდება წიგნი „ი. ბ. სტალინი— ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი და დიდი მეგობარი“.

Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲜᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 2 დეკემბერი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გამომცემლობამ „კსენჟკა და ვეძამ“ 200 ათასი ცალი ტირაჟით გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის პირველი და მეორე ტომი პოლონურ ენაზე.

გამომცემლობამ გამოუშვა აგრეთვე ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია პოლონურ ენაზე 250 ათასი ცალი ტირაჟით.

Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔ-6 ᲓᲐ ᲛᲔ-7 ᲢᲝᲛᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 2 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის მე-6 და მე-7 ტომი.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა [illegible] და მასწავლებლისადმი [illegible] სიყვარულის ნიშნად

რუმინეთში

ამხანაგ სტალინის სამოცდაათი წლისთავი რუმინეთში აღინიშნება როგორც დიდი სახალხო დღესასწაული. ამ დღესასწაულისათვის სამზადისი მიმდინარეობს ლოზუნგით: „ი. ბ. სტალინი მშრომელი კაცობრიობის დიდი გენიოსი, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ბელადი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელი, ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი და მეგობარია“.

რუმინეთის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. 1950 წლის ანგარიშში მომუშავე საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 21 დეკემბრისათვის დაამთავრონ 1950 წლის პირველი კვარტალის საწარმოო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი. დანარჩენმა საწარმოებმა მიზნად დაისახეს 21 დეკემბრისათვის დაამთავრონ 1949 წლის გეგმა.

რუმინეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და შორეული სოფლებიდან ბუქარესტში მოდის მშრომელთა საჩუქრები ამხანაგ სტალინისადმი.

პარტიულ, ახალგაზრდულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში გაძლიერდა მისწრაფება ამხანაგ სტალინის ბიოგრაფიისა და შრომების შესწავლისადმი. იქმნება სტალინური „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი ახალი წრეები.

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების საზოგადოება „არლიუსი“ და ხელოვნების სამინისტრო ამზადებენ გამოფენას თემაზე: „ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა“. გამოფენა ბუქარესტში გაიხსნება. ამავე თემაზე მზადდება მოძრავი გამოფენა. წიგნის გამომცემლობანი 21 დეკემბრისათვის უშვებენ ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიასა და თხზულებებს რუმინულ და რუმინეთში მოსახლე სხვა ხალხთა ენებზე.

15-18 დეკემბერს შედგება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის და რუმინეთ-საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ინსტიტუტის საზეიმო სესია, რომელიც მიეძღვნება ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებს.

სტალინური ვახტები უნგრეთში

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, (ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან). უნგრეთის მშრომელნი ემზადებიან ამხანაგ სტალინის სამოცდაათი წლისთავისათვის და სტალინურ ვახტებს აწყობენ საწარმოებსა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში. პროფკავშირთა სრულიად უნგრეთის საბჭოს პრეზიდიუმმა სტალინურ ვახტზე დამდგარი საუკეთესო მუშებისათვის სპეციალური სიგელები მოამზადა. ფართოდ გაიხარა ამხანაგ სტალინის იუბილესათვის მზადება უნგრელ ქალთა დემოკრატიულმა კავშირმა. კავშირმა მოაწყო უნგრეთის სოფლებისა და ქალაქების ქალთა მიერ ამხანაგ სტალინის ბიოგრაფიისა და ნაწარმოებთა შესწავლა.

პოლონეთის მშრომელთა ვალდებულებანი

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, (ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან). პოლონეთის მშრომელნი დიდი აღფრთოვანებით კისრულობენ ვალდებულებებს დიდი სტალინის სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. ვარშავის ქალაქის რაიონის მურანოვის მრავალსართულიანი სახლების მშენებელთა კოლექტივმა გადაწყვიტა 21 დეკემბრისათვის ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ 204 ბინიანი ექვსი საცხოვრებელი სახლი. შეცინის ცემენტის ქარხნის მუშებმა იკისრეს ბელადის იუბილესათვის დაამთავრონ საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა საქარხნო დაბის ტერიტორიაზე.

ქალაქ სკერნევიცეს მექანიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა იკისრეს შეისწავლონ ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია, მოაწყონ მთელი რიგი კულტურულ-პოლიტიკური ღონისძიებანი და საღამოები, აგრეთვე ვადამდე შეაკეთონ მანქანების გასაქირავებელი ორი საშეფო სადგურის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ამ თაოსნობას გამოეხმაურნენ ბევრი პროფესიული და ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები, მრავალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც კისრულობენ ვალდებულებას ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად.

იტალიელი ხალხი — ამხანაგ სტალინს

დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ იტალიელი მშრომელები ყოველკვირეულ ჟურნალ „ვიე ნუოვეს“ ინიციატივას — გაეგზავნოს საჩუქრები ამხანაგ სტალინს მისი სამოცდაათი წლისთავის დღისათვის. მუშები და გლეხები, ინტელიგენტები, ახალგაზრდობა, ქალები და ბავშვები ჯგუფებად და ცალცალკე ჩქარობენ გამოხატონ სსრ კავშირის ხალხთა და მსოფლიოს ყველა მშრომელთა საყვარელი ბელადისადმი თავიანთი სიყვარული, ერთგულება და მადლიერება. „ვიე ნუოვე“ იუწყება, რომ ჟურნალის მკითხველთა სახელით ამხანაგ სტალინს გაეგზავნება პოლაიოლოს ცნობილი სკულპტურული ჯგუფის „ჰერკულესი და ანთეოსი“ რეპროდუქცია.

იტალიის კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციამ გაატარა ღონისძიებანი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“, „ლენინიზმის საკითხების“, ამხანაგ სტალინის სხვა ნაწარმოებთა და „ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფიის“ ფართოდ გასავრცელებლად.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, (ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან). უკვე ორი კვირაა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ხელიდან ხელში გადადის იმ წერილის ტექსტი, რომელიც მშრომელებმა გადაწყვიტეს გაუგზავნონ ამხანაგ სტალინს მისი დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით. წერილს ხელს აწერენ მასობრივ კრებებზე, რომლებიც ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცევა.

პლოვდივის ოლქში უკვე მოეწყო 4 ათასზე მეტი ასეთი კრება, შუმენის ოკოლიაში—1.150, ვიდინსკის ოკოლიაში—940, ლომსკის ოკოლიაში — 580, ტირნოვის ოკოლიაში—595, ხასკოვის ოკოლიაში—236 და სხვ.

18 ნოემბერს წერილზე ხელმოწერთა რიცხვმა 4,5 მილიონ კაცს მიაღწია. სოფიაში წერილს ხელი მოაწერა 280 ათასმა კაცმა.

სოფელ ტოპოლიდან (ვარნის ოკოლია) იუწყებიან: „არც ერთ მოწოდებას ხალხი ასე მხურვალედ არ გამოხმაურება, როგორც მოწოდებას, რომ ხელი მოაწერონ წერილს სტალინისადმი. ეს დღე გლეხებისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო“. სოფელ გორნა კრუშიცაში (სანდანის ოკოლია) გლეხები წერილზე ხელმოწერის აღსანიშნავად შეიკრიბნენ საერთო სასოფლო სადილზე. „ხელს ვაწერთ თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის და სტალინისათვის, რომელმაც ჩვენ გაგვანთავისუფლა“, — განაცხადეს მათ.

მუშათა ბევრი კოლექტივი, გლეხები, კულტურული მოღვაწეები, ახალგაზრდული ორგანიზაციები სხვადასხვა საჩუქარს უმზადებენ დიდ სტალინს.

წერილის საყოველთაო-სახალხო ხელმოწერასთან ერთად უფრო ფართოდ ჩაღდება ბულგარელ მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ამხანაგ სტალინის სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. მასში მონაწილეობს თითქმის 500 ათასი მუშა. მუშების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება. დიმიტროვგრადში მშენებლობაზე მომუშავე ახალგაზრდობამ იკისრა 150 პროცენტით ვადამდე შეასრულოს სამშენებლო პროგრამა და დაზოგოს 25 მილიონი ლევი. პროგრამა შესრულდა 169 პროცენტით, დაზოგილია 40 მილიონი ლევი. ვარნის რკინიგზის დეპოს კოლექტივმა წლიური გეგმა შეასრულა ათ თვეში 107 პროცენტით და მიაღწია 11,5 მილიონი ლევის ეკონომიას.

(გაზეთი „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ № 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის საბრალდებო აქტი ფრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმის გამო

სოფია, 30 ნოემბერი. (ბატელი). ბულგარეთის ყველა დილის გაზეთი დღეს მთლიანად აქვეყნებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის საბრალდებო აქტს სამშობლოს მოღალატე ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმის გამო.

საბრალდებო აქტში ნათქვამია:

„დიდი სახალხო კრების მიერ 1949 წლის 21 ოქტომბერს მიღებული კანონის საფუძველზე, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი კანონიერი ხელისუფლების დამბობისაკენ მიმართული ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების მოწყობაში, გამცემლობაში, ჯაშუშობასა და სამშობლოს ღალატში ბრალდების საქმის მასალების შესაბამისად

პასუხისგებაში არიან მიცემულნი:

1. **ტრაიჩო კოსტოვ ჯუნევი,**—დაიბადა 1897 წლის 17 ივნისს ქ. სოფიაში, ბულგარელი, ბულგარეთის ქვეშევრდომი, პროფესიით პუბლიცისტი, დაუმთავრებელი უმაღლესი იურიდიული განათლებით, ქალაქ სოფიის მცხოვრები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დაპატიმრებამდე ბულგარეთის სახალხო ბიბლიოთეკის დირექტორი.

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში მემარცხენე-სექტანტური, ტროცკისტული ფრაქციის აქტიურ მონაწილეს **კოსტოვს** 1931 წელს კოოპტაციის წესით ირჩევენ მემარცხენე-სექტანტური ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, როგორც დავალებითაც ხელმძღვანელობს ლეგალური მუშათა პარტიის საპარლამენტო ჯგუფს და რედაქტორობს ლეგალურ გაზეთ „რაბოჩე-კრესტიანსკაია ზნამიას“.

თავის პრაქტიკულ მუშაობაში აქტიურად ახორციელებს მკრეხულ მემარცხენე-სექტანტურ, ტროცკისტულ გეზს გლეხობის მიმართ, რითაც არღვევს მუშათა კლასის პარტიის კავშირს მის ძირითად მოკავშირესთან — გლეხობასთან და მონარქისტულ-ფაშისტურ ხელისუფლებას უადვილებს ბრძოლას ბულგარეთის პროგრესული ძალების წინააღმდეგ.

1933-1934 წლებში მოსკოვში ემიგრაციაში ყოფნისას კვლავ მხარს უჭერს მემარცხენე-სექტანტურ ფრაქციას ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში და, მუშაობს რა კომუნისტური პარტიების ბალკანეთის სამდივნოში, ხელს უწყობს პარტიული კონფერენციის მოწვევას ბულგარეთის ფარგლებს გარეთ, რათა პარტიის ხელმძღვანელობას ჩამოაშოროს პარტიის ადგილებზე ხელმძღვანელები გიორგი **დიმიტროვი** და ვასილ **კოლაროვი.**

სსრ კავშირში ყოფნის დროს მას ახლო პოლიტიკური კავშირი აქვს შემდეგში მხილებულ ტროცკისტებთან ბელა **კუნთან** და მაქსიმილიან **ვალეცკასთან** და მათი ხელშეწყობით უახლოვდება იუგოსლავიელ ემიგრანტ ოსიპ ბროზ **ტიტოს** („ვალტერი“), რომელიც აგრეთვე იზიარებდა მათს საერთო ტროცკისტულ რწმენას.

სარგებლობს რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, როგორც კომუნისტური პარტიების ბალკანეთის სამდივნოს კადრების რეფერენტი, ის იუგოსლავიაში პოლიტიკური მუშაობისათვის რეკომენდაციას აძლევს **ტიტოს,** რომელიც იზიარებს მის ტროცკისტულ შეხედულებებს.

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში მემარცხენე-სექტანტური ფრაქციის ლიკვიდაციის მიუხედავად, იგი ორპირული მანევრისა და მემარცხენე სექტანტობისაგან ჩამოშორების შესახებ არაგულწრფელი, ცრუ დეკლარაციის მეთხეთან, ინარჩუნებს ხელმძღვანელ მდგომარეობას პარტიაში და, ბრუნდება რა ბულგარეთში, საბოტაჟს უწევს **დიმიტროვის** მიერ გამოცხადებული ახალი პოლიტიკური კურსის გატარებას.

1942 წლის 29 აპრილს, არალეგალური ცენტრალური კომიტეტის ჩავარდნასთან დაკავშირებით, მას ეპატიმრებს პოლიცია არალეგალურ ბინაზე სოფიაში, პატერიცის ქუჩაზე, № 11 სახლში.

დაპატიმრების მეათე დღეს პოლიციის განყოფილების უფროსის ნიკოლა **გეშევის** მიერ დაკითხვისას, რომელიც კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას განაგებდა, მან აღიარა, რომ იყო ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ხელმძღვანელი და წევრი, და ლაჩრულად გასცა თავისი პოლიტიკური მეგობრები და თანამოაზრეები, მათი კავშირურთიერთობის არხები, აგრეთვე გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ და ფილოვის მთავრობის მიერ ბულგარეთში შემოღებული პოლიციურ-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად აქტუალურ საკითხებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

არ სჯერდება რა ამას, იგი ხელს აწერს ვალდებულებას, რომ საიდუმლოდ თანამშრომლებს პოლიციასთან კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის წევრიც 1919 წლიდან იყო, და შენიღბვისა და პარტიაში თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით **გეშევის** დახმარებით თხზავს ჩვენებას, რომელშიც უარყოფს ყარდგენილ ბრალდებას.

გამცემლობით და პოლიციაში **კაპიტულაციით** იგი აღწევს იმას, რომ მუდმივი პატიმრობით უცვლიან სიკვდილით დასჯის განაჩენს, რაც ფაშისტურ-მონარქისტულმა სასამართლომ გამოუტანა პარტიის ექვს სხვა, უფრო ნაკლებად აქტიურ პოლიტიკურ მუშაკს, რომლებიც 1942 წლის 23 ივლისს დახვრიტეს.

არალეგალური ცენტრალური **კომიტეტის** საქმეზე გამოტანილ განაჩენში სამხედრო-საველე სასამართლო სიკვდილით დასჯის გამოუყენებლობას ხსნის „ბრალდებულის მძიმე ოჯახური პირობებით, ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობითა და მისი იდეური შეცდომებით“. ნამდვილად კი სასამართლოს მიერ წინათ დასახულ სიკვდილით დასჯის განაჩენს მას უცვლიან მუდმივი პატიმრობით სამხედრო მინისტრ გენერალ ნიკოლა **მიხოვის** ბრძანების თანახმად, რომელიც მან პირადად მისცა სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარეს პოლკოვნიკ ივნატ **მლადენოვს.**

პლევენის საპყრობილეში ყოფნისას, 1943 წლის სექტემბერში, იგი კვლავ ამყარებს თავის გამცემლურ კავშირს **გეშევთან** და, მისი დავალებით, პორაეენულ წერილს უგზავნის ბულგარეთის კომუნისტური პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს, რომლითაც წინადადებას აძლევს თავი შეიკავოს პარტიზანული რაზმების აქტიური მოქმედებისაგან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისარგებლა რა პარტიის „ტკაცეკ“ და „მამაცი“ წევრის რეპუტაციით, რაც მან პოლიციის დახმარებით შეიქმნა, იგი 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ მოტყუებით გაძვრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ პოსტზე.

1944 წლის დამლევს ბულგარეთთან დაზავების სამოკავშირეო საკონტროლო კომისიასთან არსებული ინგლისის მისიის მეთაურთან გენერალ ვილიამ ჰ. ოჭსლისთან დარბაზობის დროს დანაშაულებრივ კავშირს ამყარებს ინგლისის სადაზვერვო სამსახურთან პოლკოვნიკ ვილიამ ს. **ბეილს** საშუალებით, რომლის მითითებებითა და რჩევით შემდეგში ეწევა თავის მტრულ მუშაობას ბულგარეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

2. ივანე **სტეფანოვ ბაჯი-მატეევი,**—დაიბადა 1899 წლის 3 მარტს ქალაქ ვარნაში, ბულგარელი, ბულგარეთის ქვეშევრდომი, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ეკონომისტი-სტატისტიკოსი, უმაღლესი ეკონომიური განათლებით, ქალაქ სოფიის მცხოვრები, ბულგარეთის სახალხო ბანკის ყოფილი მმართველი.

მსხვილი მიწათმფლობელის შვილი, იგი 1937 წლიდან 1939 წლამდე გადის სპეციალიზაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში სტიპენდიით, რომელიც მას მისცა ბულგარეთში არსებულმა ევრეულ წოდებულმა როკფელერის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

1924 წელს, ქალაქ ვარნაში ახალგაზრდობის არალეგალური კომუნისტური ჯგუფის ჩავარდნის დროს პოლიციის მიერ დაპატიმრებულმა მან გასცა ამ ჯგუფის ყველა მონაწილე, ხოლო სასამართლოში ცილს სწამებდა კომპარტიასა და კომკავშირს.

1941 წელს დანაშაულებრივ კავშირს ამყარებს ამერიკის დაზვერვასთან და მის ემისრებთან ოსკარ **ანდერსენთან** და ჯეიმს **კლარკთან** და აწვდის მათ ჯაშუშურ ცნობებს ბულგარეთის მეფურნეობისა და ფინანსების მდგომარეობის შესახებ.

7. ივანე **სლავოვ გეორგიევი,**—დაიბადა 1884 წლის 23 ივლისს კოტლენის მაზრის სოფელ ინერაში, ბულგარელი, ბულგარეთის ქვეშევრდომი, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ინჟინერი-მანქანათშენებელი, ქალაქ სოფიის მცხოვრები, მრეწველობის სამინისტროს რეზინის მრეწველობის გაერთიანების აყოფილი დირექტორი.

შეძლებული გლეხის, წისქვილის პატრონის შვილი, იგი უმაღლეს განათლებას იღებს საზღვარგარეთ, ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, სადაც პირადი გამდიდრების მიზნით ირთავს მემამულის, 1.000 ჰექტარი სახნავი მიწის მესაკუთრის, შვილს მარიამ **ბაჯი-ტენევას.**

1926 წელს ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ ქმნის რეზინის დამამზადებელ ქარხანას, რომელიც მაშინ ყველაზე დიდი ქარხანა იყო ბულგარეთში, შემდეგ აარსებს სააქციო საზოგადოება „კაუჩუკს“ და, ბოლოს, 1929 წელს მილანის იტალიური ფირმის „პირელის“ რწმენებულთან ერთად ქმნის რეზინის დამამზადებელ ქარხანას „მეფე სიმეონს“.

1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ იგი თავს ასაღებს სახალხო ხელისუფლების მეგობრად და წარსულში კომუნისტებთან ერთგვარი კავშირის მეოხებით შედის წევრად ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში და ეწყობა ხელმძღვანელ სამუშაოზე მრეწველობის სამინისტროში.

1947 წელს დანაშაულებრივ კონტაქტს ამყარებს ინგლისის რეზიდენტ კირილე **სლავოვთან** და აწვდის მას ჯაშუშურ ცნობებს ბულგარეთის ყველა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოს მდგომარეობისა და საწარმოო სიმძლავრის შესახებ.

8. ივანე **გეორგიევ ტუტევი,**—დაიბადა 1902 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ ლოვიჩში, ბულგარელი, ბულგარეთის ქვეშევრდომი, უმაღლესი განათლებით, პროფესიით აგრონომი, ქალაქ სოფიის მცხოვრები, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის დირექციის ყოფილი დირექტორი.

წვრილბურჟუაზიული წრიდან გამოსული, იგი უმაღლეს განათლებას იღებს საზღვარგარეთ, ბერლინში. ქალაქ დიუსელდორფში (გერმანია) ბულგარეთის სავაჭრო საკონსულოს მეთვალყურეობის დროს 1935-1937 წლებში დანაშაულებრივ კავშირს ამყარებს ინგლისის დაზვერვის წარმომადგენელთან, მსხვილ მრეწველ ალექსანდრე **მეფერთან,** ხოლო შემდეგ **ამ** უკანასკნელის შეფთან ინგლისის რეზიდენტ **ნიმეეგენთან,** რომლებსაც ფულადი გასამჯელოს ფასად, 1940 წლიდან, აწვდის ჯაშუშურ ცნობებს ბულგარეთის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ.

ინგლისელთა დავალებით ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ, 1940 წლის დამლევს, კვლავ ამყარებს ჯაშუშურ კავშირს ინგლისის დაზვერვასთან მეფის კარის ყოფილი გენერალი ლოლისა და ყოფილი მეფის ფერდინანდის საყვარლის სულტანა რაჰო **პეტროვას** საშუალებით.

რეგულარულად, 1945 წლამდე, აწვდის **პეტროვას** მასალებს ბულგარეთის სამეფო ოჯახის შესახებ და, ინგლისის საიდუმლო სამსახურის დავალებით, უახლოვდება კომუნისტთა წრეს და შიდის წევრად ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში. ინგლისელებისათვის გაწეული სამსახურის გასამჯელოდ მან მიიღო 500 ათასი ლევი.

ჯაშუშური ცნობების უფრო ფართოდ შეგროვების მიზნით მან ამ მუშაობაში ჯერ კიდევ 1937 წელს ჩააბა სახელმწიფო საექსპედიციო საწარმოს „დესპრედის“ ყოფილი მთავარი დირექტორი ივანე **კალუშევი** და სახელმწიფო საექსპორტო სავაჭრო გაერთიანება „ბულგარპლოდექსპორტის“ ყოფილი დირექტორი ივანე **პანოვი.**

1947 წლის თებერვალში იგი კავშირს ამყარებს ინგლისის დაზვერვის ემისართან, სოფიაში აკრედიტებული ინგლისის საელჩოს პირველ მდივან სტეფენ პატრიკ **ბაუნთან** და შემდეგში არაერთხელ აწვდის მას მასალებს სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის შესახებ, მათთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესახებ.

9. ბლაგოი **ივანოვ ბაჯი-პანზოვი,** — დაიბადა 1911 წლის 19 დეკემბერს ქალაქ ველესში (მაკედონია), მაკედონელი, ბულგარეთის ქვეშევრდომი, უმაღლესი განათლებით, პროფესიით იურისტი, ქალაქ სოფიის მცხოვრები, ყოფილი მრჩეველი იუგოსლავიის საელჩოსი ბულგარეთში.

1947 წლის სექტემბერში იგზავნება ბულგარეთში, როგორც იუგოსლავიის სადაზვერვო სამსახურის ემისარი, პირინის მხარეში ბულგარეთის მთავრობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის ჩასატარებლად და ჯაშუშური ცნობების შესაგროვებლად აგენტ-ინფორმატორთა ქსელის საშუალებით, რომელიც მოქმედებდა იუგოსლავიის ყოფილი დესპანის ობრად **ციცმილის,** იმავე საელჩოს მრჩეველის პერო **მანგოვსკისა** და სამხედრო ატაშეს მოადგილის ირსო მალატოვიჩის ხელმძღვანელობით.

1948 წლის ნოემბერში, იუგოსლავიის მთავრობის საიდუმლო გადაწყვეტილებით, სოფიაში ბრუნდება და ყალბად აცხადებს თავს პოლიტიკურ ემიგრანტად და ტიტოს მოწინააღმდეგედ, რათა შენიღბოს თავისი შემდგომი ძირგამომთხრელი და ჯაშუშური საქმიანობა ბულგარეთში.

ამ მიზნით საიდუმლო კავშირს ამყარებს იუგოსლავიის საელჩოს საკონსულოს განყოფილების უფროსთან სვეტოზარ **სავიჩითან,** რომლის საშუალებითაც ინფორმაციას აწვდის თავის შეფებს **ტიტოს** მთავრობიდან იუგოსლავიელ ემიგრანტთა პოლიტიკური განწყობილებისა და მათ წრეში თავისი გამხრწნელი მუშაობის შედეგების შესახებ.

10. ვასილ **ატანასოვ ივანოვსკი,** — დაიბადა 1906 წლის 18 ოქტომბერს კოსტორის მაზრის სოფელ ლოვრადში, მაკედონელი, ბულგარეთის ქვეშევრდომი, დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, პროფესიით მეთამბაქოე, ქალაქ სოფიის მცხოვრები, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების ყოფილი ინსტრუქტორი და ბულგარეთის მაკედონურ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

1942 წელს ქალაქ პლოვდივში არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციის ჩავარდნასთან დაკავშირებით დაპატიმრებულმა, მან ბოლიციის ხელში ჩაუგდო პარტიის არალეგალური რაიონული კომიტეტის სამი წევრი—სპას **ბატალოვი,** ყელიაზო **გეორგიევი** და **რაინუ.** აგრეთვე დაადასტურა იმავე საქმეზე ბრალდებულთა ჩვენება თვალსაჩინო ბულგარელი კომუნისტის პეტრე ჩენგელოვის შესახებ, რომელიც შემდეგ ჩამოახრჩეს.

1945 წლის ნოემბერში, იუგოსლავიის ხელმძღვანელობის ნებართვითა და თანხმობით, სოფლიდან მიემგზავრება სოფიაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე მაკედონელთა შორის ძირგამომთხრელი მუშაობის ჩასატარებლად.

მოტყუებით მოიწყო რა სამუშაოდ პარტიის სოფიის საოლქო კომიტეტში, ხოლო შემდეგ ბულგარეთის- კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაშიც და ბოროტად იყენებდა რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, რეგულარულად აწვდიდა საიდუმლო მასალებს იუგოსლავიის საელჩოს ყოფილ მდივანს მიტკო **ზაფიროვსკის** და მის შემდეგ მდივნად დანიშნულს პავლე **მომჩილოვიჩს.**

11. ილია **ივანოვ ბოიალცალიევი,**—დაიბადა 1911 წლის 23 მაისს ქალაქ სალონიკში (საბერძნეთი), მაკედონელი, ბულგარეთის ქვეშევრდომი, საშუალო განათლებით, ქალაქ სოფიის მცხოვრები, სოფიის საქალაქო საბჭოს სამშენებელო გაერთიანების მშენებელთა ჯგუფების ყოფილი პოლიტიკური ხელმძღვანელი.

მანუფაქტურის მსხვილი ვაჭრის, საკუთარი წისქვილისა და ოთხი მაღაზიის პატრონის შვილი, იგი 1942 წელს განცხადებას აძლევს პოლიციაში სამსახურში ჩარიცხვის შესახებ, ხოლო შემდეგ შედის ოფიციალურ საოკუპაციო კორპუსში, რომელიც იუგოსლავიაში გერმანელების სარდლობით მოქმედებდა.

ისარგებლა რა იმით, რომ წარსულში ფორმალურად ეკუთვნოდა კომუნისტებს, 1944 წლის 9 სექტემბერს შეიჭრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წევრად და დაინშნა პოლკის მეთაურის თანაშემწის თანამდებობაზე, მაგრამ მორალურ-ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისა და ლოთობისათვის დათხოვნილ იქნა არმიიდან.

1945 წლის დამლევს ქალაქ ველესში, იუგოსლავიაში, ხვდება თავის ძმას—ხრისტო **ბოიალცალიევს,** მაკედონიის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს, და, მისი დავალებით, ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ ანაღებს ძირგამომთხრელ მუშაობას მაკედონელთა შორის ბულგარეთისადგან პირინის მაკედონიის მოწყვეტისა და იუგოსლავიასთან მისი შეერთების სასარგებლოდ.

მტრული მიზნებით ეწყობა სოფიაში ბულგარეთის მაკედონელთა საზოგადოების ხელმძღვანელობაში და ამხდრებს მის აქტივს ბულგარეთის მთავრობისა და მაკედონიის საკითხში მისი პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ.

1948 წლის ივნისში დანაშაულებრივ კავშირს ამყარებს იუგოსლავიის საელჩოს მრჩეველ ბლაგოი **ბაჯი-პანზოვთან,** 1949 წლის აპრილში — იმავე საელჩოს ყოფილ მდივან ნაუმ **ნაკოვთან,** რომელიც შემდეგში გაძევებულ იქნა ბულგარეთიდან ჯაშუშობისათვის, და ბოლოს, —საელჩოს საკონსულო განყოფილების უფროსთან სვეტოზარ **სავიჩითან**

ნაკოვისა და **სავიჩის** დავალებით აგროვებს ჯაშუშურ ცნობებს მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილებისა და ბულგარეთ-იუგოსლავიის საზღვრის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ამ საქმის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებს —

ბრალად ედებათ

ის, რომ:

1. **ბრალდებული ტრაიჩო კოსტოვი,** რომელიც 1942 წლიდან პოლიციასთან, ხოლო შემდეგ ინგლისის სადაზვერვო სამსახურთან იყო დაკავშირებული, ბრალდებულ ნიკოლა **პავლოვთან,** პოლიციისაგე აგენტთან, რომელსაც იგი იცნობდა წარსულის მიხედვით, და ბრალდებულ ივანე **სტეფანოვთან,** ინგლისის დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელთან ერთად, 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგგე შეუდგა შეთქმულების მოწყობას, რომელიც მიმართული იყო ბულგარეთში არსებული დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ;

2. **ბრალდებულებმა კოსტოვმა, სტეფანოვმა** და **პავლოვმა** შექმნეს შეთქმულების ცენტრი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მათ თანამონაწილეთა დანაშაულებრივ მუშაობას ბულგარეთის კანონიერი მთავრობის დასამხობად და მის შესაცვლელად **კოსტოვის** დანაშაულებრივი მთავრობით;

3. **ბრალდებულები კოსტოვი, სტეფანოვი** და **პავლოვი,** აგრეთვე მათ მიერ გადაბირებული ბრალდებულები ნიკოლა **ნაჩევი** და ივანე **გეორგიევი** აგროვებდნენ დანაშაულებრივი შეთქმულების ახალ მონაწილეებს სახელმწიფოს სამეურნეო, საფინანსო და მმართველობის სხვა აპარატების თანამდებობის პირთა შორის;

4. **ბრალდებულები კოსტოვი, პავლოვი, სტეფანოვი, ნაჩევი** და **გეორგიევი,** ბრალდებულებთან ივანე **ტუტევთან,** ცონიო **ცონჩევთან** და ბორის **ხრისტოვთან** ერთად, ახორციელებდნენ მტრულ აქტებს ბულგარეთის სახალხო მეურნეობაში სახალხო ხელისუფლების ეკონომიური საფუძვლების ძირგამოსათხრელად, რისთვისაც:

ა) დეზორგანიზაცია შეჰქონდათ ბულგარეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და საფინანსო აპარატის მუშაობაში; ფუშვადნენ სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებას; ქმნიდნენ სიძნელეებს სასურსათო და პირველი საჭიროების სხვა საქონლით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიმგზავრებაში, აბრკოლებდნენ ვაჭრობისა და ქალაქსა და სოფელს შორის საქონლებრუნვის განვითარებას;

ბ) ცდილობდნენ დაერღვიათ სამეურნეო, სავაჭრო და სხვა ეკონომიური კავშირი ბულგარეთსა და სახალხო დემოკრატიის დანარჩენ ქვეყნებს შორის, რომელებსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი, რათა ჩვენი ქვეყნისათვის მოესპოთ სსრ კავშირის მხრივ უხვი და უანგარო დახმარება, მოეწყვეტათ იგი სოციალიზმის ბანაკისა და სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან და დამოკიდებული გაეხადათ იგი ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმისაგან;

5. **ბრალდებულმა კოსტოვმა,** ინგლისის სადაზვერვო სამსახურის ნებართვითა და თანხმობით, საიდუმლო დანაშაულებრივი ურთიერთობა დამყარა იუგოსლავიელ ხელმძღვანელებთან: 1944 წლის დამლევს — **კარდელთან,** 1945 წლის დამდეგს — **ჯილასთან** და 1946-1947 წლებში — **რანკოვიჩთან** და **ტიტოსთან,** შეუთანხმდა მათ ერთობლივი მოქმედების შესახებ, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ წაერთმიათ ბულგარეთისათვის მისი ეროვნული სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა იუგოსლავიასთან მისი შეერთებისა და, უწინარეს ყოვლისა, იუგოსლავიის მაკედონიის სასარგებლოდ პირინის მხარის მოწყვეტის გზით;

გარდა ამისა, ბრალდებული **კოსტოვი** საიდუმლოდ შეუთანხმდა **ტიტოს** მმართველ ფაშისტურ ხროვას ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლის შესახებ ამ მიზნით, რომ მოეწყვიტათ ბულგარეთი სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისაგან და გადაეყვანათ ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმის კოლონიად;

იუგოსლავიის ხელმძღვანელებთან **კარდელთან** და **ჯილასთან** უშუალო დანაშაულებრივი შეთანხმება ჰქონდა ბრალდებულ **ტეფანოვსაც;**

6. **ბრალდებული კოსტოვი ტიტოსთან, კარდელთან, ჯილასთან** და **რანკოვიჩთან,** ხოლო ბრალდებული **სტეფანოვი** კარდელთან მოლაპარაკების შედეგად ერთობლივად სახავდნენ მოსამზადებელი მოქმედების გეგმებს იმ მიზნით, რომ:

ა) დაემხოთ კანონიერი მთავრობა, არჩეული ხალხის ნებით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად;

ბ) ძალდატანებით დაემხოთ ხელისუფლება ბულგარეთში იუგოსლავიის სამხედრო მხარდაჭერით;

გ) დაპატიმრებინათ და ფიზიკურად მოესპოთ მთავრობის მეთაური და ბულგარელი ხალხის ბელადი ამხანაგი **დიმიტროვი;**

7. ფაშისტ **ტიტოსთან** და მის უახლოეს თანამშრომლებთან **ჯილასთან** და **რანკოვიჩთან** შეთანხმებით ბრალდებულმა **კოსტოვმა** გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, როგორც პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, და ძირგამომთხრელი და ჯაშუშური მუშაობის პირობები შეუქმნა ბულგარეთში ბელგრადიდან და სკოპლედან სპეციალური დავალებებით შემოგზავნილ იუგოსლავიის ჯაშუშური სამსახურის ემისრებს ბრალდებულებს ბლაგოი **ბაჯი-პანზოვს** და ვასილ **ივანოვსკის,** აგრეთვე იუგოსლავიის დაზვერვის აგენტს ბრალდებულ ილია **ბოიალცალიევს;**

8. **ბრალდებული ბაჯი-პანზოვი,** რომელიც ბელგრადიდან მიღებული ინსტრუქციებით მოქმედებდა, სათავეში ჩაუდგა იუგოსლავიის აგენტურის ჯაშუშურ ქსელს და, გარდა ამისა, ბრალდებულებთან **ბოიალცალიევთან** და **ივანოვსკისთან** ერთად გამხრწნელ მუშაობას ეწეოდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე მაკედონელთა შორის; ბრალდებული **ივანოვსკი** რეგულარულად აწვდიდა საიდუმლო მასალებს იუგოსლავიის დაზვერვას მისი წარმომადგენლების **ზაფიროვსკისა** და **მომჩილოვიჩის** საშუალებით, როგორც იუგოსლავიის სოფიის საელჩოში ოფიციალური დიპლომატიური პოსტები ეკავათ, ხოლო ბრალდებულ **ბოიალცალიევს** ჯაშუშური კავშირი ჰქონდა იმავე საელჩოს თანამშრომლებთან **ნაკოვთან** და **სავიჩთან;**

9. **ბრალდებულები კოსტოვი, სტეფანოვი, ნაჩევი, გეორგიევი** და **ტუტევი** კანონით დაცულ ცნობებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენენ, აწვდიდნენ ინგლისის დაზვერვას; ბრალდებული **ცონჩევი** ამერიკის დაზვერვას, ხოლო ბრალდებული **ხრისტოვი** — იუგოსლავიის დაზვერვას, რითაც ჩაიდინეს ისეთი მოქმედება, რომელსაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კანონი განიხილავს როგორც სახელმწიფოს საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობას, გამცემლობას, ჯაშუშობას და სამშობლოს ღალატს.

I

გამოძიებით გამოირკვა, რომ ინგლისისა და ამერიკის სადაზვერვო სამსახურებმა, რომლებიც ბალკანეთში თავიანთი ქვეყნების განსაკუთრებულ სტრატეგიულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს წარმოადგენდნენ, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში გააქტიურეს თავიანთი აგენტურა ბულგარეთში.

იძულებული იყვნენ რა ანგარიში გაეწიათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰიტლერული გერმანიის გარდუვალი დამარცხებისათვის, რაც ჯერ კიდევ 1942 წელს დაისახა, სსრ კავშირის განუწყვეტლივ მზარდი ავტორიტეტისათვის ალმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და, მაშასადამე, ბულგარეთშიც, იქ სახალხო ხელისუფლების დამყარების შესაძლებლობისათვის, ინგლისისა და ამერიკის ჯაშუშური სამსახურები თავიანთ ემისრებსა და აგენტებს გზავნიან ჯერ კიდევ არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ კომუნისტურ პარტიაში იმ ვარაუდით, რომ იგი მომავალში არ შეიძლება არ გახდეს მმართველ პარტიად, სახალხო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელ პარტიად.

ამ მუშაობას ამერიკის დაზვერვაზე აღრე იწყებს ინგლისის დაზვერვა, რომელსაც ბულგარეთში ჰყავდა ძველი აგენტურა მეფე ბორისის მახლობელ პირთა შორის, მის პოლიციურ-ადმინისტრაციულ აპარატში, ისევე როგორც ბულგარეთის სამრეწველო-საავაჭრო წრეებში, აგენტურა, რომელიც მას ომამდე დიდი ხნით აღრე ჰყავდა შეძენილი.

ამ საქმის გამო ბრალდებულმა ივანე **ტუტევმა,** რომელიც ჯაშუშურ სამსახურს უწევდა ინგლისელებს 1937 წლიდან და პირადად იყო დაკავშირებული მეფის კართან დაახლოებულ სულტანა **რაჰო პეტროვასთან,** ამ უკანასკნელის საშუალებით ინგლისის დაზვერვისაგან 1943 წელს მიღებულ დავალებათა შესახებ აჩვენა:

„...**პეტროვამ** მითხრა, რომ ჩვენი საერთო მეგობრების სურვილით კავშირი უნდა დამემყარებინა პროგრესული შეხედულების ადამიანთა შორის, რომლებიც სამმათითით ეკიდებოდნენ საბჭოთა კავშირს, მით უმეტეს, თუ ფფიქრობდი, რომ ისინი კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ.

პეტროვამ ამიხსნა, ომი ისე ვითარდება, რომ **ჰიტლერის** დამარცხება ცხადია, და საბჭოთა კავშირი, ინგლისელთა აზრით, შეძლებს თავისთვის გამარჯვების უზრუნველყოფას მეორე ფრონტის გაუხსნელადაც. ამავე დროს სსრ კავშირის გამარჯვებამ, რომლისთაც ინგლისელები სრულიადაც არ არიან დაინტერესებული, არ შეიძლება არ გამოიწვიოს საბჭოთა გავლენის განმტკიცება ბალკანეთში. ინგლისი ამას წინააღმდეგობას გაუწევს, მაგრამ მოახლოებული ომების გამო, საჭიროა წინასწარვე მივიღოთ ზომები და, უწინარეს ყოველისა, ვიცოდეთ, რას აკეთებენ და მომავალში რის გაკეთებას აპირებენ კომუნისტებიო...“

ბრალდებულმა ივანე **სტეფანოვმა,** რომელსაც კავშირი ჰქონდა ინგლისის რეზიდენტ სტენლი **ბრაუნთან,** ამ უკანასკნელთან 1935 წელს მომხდარი ლაპარაკის შესახებ აჩვენა:

„...**ბრაუნმა** მითხრა, რომ მე არ უნდა დამეტოვებინა კომუნისტური მოძრაობა, თუნდაც კომუნისტებისადმი მართლა მტრული შეხედულებანი მქონოდა ან პოლიციის მხრივ უსიამოვნება შემხვედროდა. მეორე მხრივ, უნდა განმეგრძო პარტიაში მუშაობა როგორც ბულგარეთის ნიადაგზე მდგომ ტროცკისტს. ამაზე შევთანხმდით მე და **ბრაუნი...**“

ბრალდებულმა ცონიო **ცონჩევმა,** რომელსაც ჯაშუშური კავშირი ჰქონდა ამერიკის სოფიის მისიის მოსამსახურე ჯეიმს **კლარკთან,** ამ უკანასკნელთან 1946 წლის მაისში შემდგარი თავისი ლაპარაკის შესახებ აჩვენა:

„...**კლარკმა** მომთხოვა, რომ მისთვის მიმეცა ცნობები ბულგარეთის სამამული ფრონტის ზოგიერთი მოწინავე ადამიანის შესახებ. მას მხოლოდ კომუნისტები აინტერესებდნენ. მე ხუმრობით ვეუბარი, რომ მას უფრო ფაშისტები უნდა აინტერესებდნენ, ვინაიდან მათ შორის და არა კომუნისტებს შორის ამერიკელებს შეუძლიათ იშოვნონ ადამიანები, რომლებიც მათ სიმპათიით ეკიდებიან. მაგრამ **კლარკმა** მიპასუხა, სულაც არა, პ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომაზე

მიღებულია გადაწყვეტილება სახალხო გამარჯვების სწსხის გამოშვების შესახებ და დამტკიცებულია 1950 წლის ბიუჯეტი

პეკინი, 4 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს მეოთხე სხდომაზე, რომელიც 2 დეკემბერს გაიმართა მაო ძე-დუნის თავმჯდომარეობით, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სახალხო გამარჯვების სესხის გამოშვების შესახებ და დამტკიცეს 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამ საკითხების განხილვისას სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიერის მოადგილემ ჩენ იუნმა აღნიშნა, რომ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ დიდი რაიონების განთავისუფლების შემდეგ სახელმწიფო ხარჯები მნიშვნელოვნად გადიდდა. სახალხო გამარჯვების სესხის გამოშვება ხელს შეგვიწყობს შევამციროთ სახელმწიფო დეფიციტი და, ამრიგად, იგი ხელსაყრელია არა მარტო მშრომელებისათვის, რომლებიც ხელფასს იღებენ, არამედ აგრეთვე მრეწველებისა და ვაჭრებისათვის.

ფინანსთა მინისტრმა ბო ი-ბომ, რომელიც ახსნა-განმარტება გაუკეთა 1950 წლის ბიუჯეტის პროექტს, განაცხადა, რომ სამხედრო და ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენენ ბიუჯეტის 60 პროცენტს, რამდენადაც სახელმწიფოს მოუხდება შეინახოს 9 მილიონი კაცი, მათ შორის არმია, მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეები და განათლების მუშაკები. ბიუჯეტის 23,9 პროცენტი განკუთვნილია წარმოების აღსადგენად.

შემდეგ ბო ი-ბომ აღნიშნა, რომ გაისად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ფასების მდგომარეობა და რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ხელს შეუწყობს ხალხის საარსებო დონის სტაბილიზაციას და წარმოების განვითარებას.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს წევრებმა მოიწონეს ბიუჯეტი და აღნიშნეს, რომ მისი შესრულების შედეგად ჩინეთი მშენებლობის გზას დაადგება.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლი ძი-შენმა აღნიშნა: მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ომი კვლავ გრძელდება, ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისათვის წელს შეადგენენ მთელი ბიუჯეტის მხოლოდ 38,8 პროცენტს. გომინდანური რეაქციული მთავრობის არსებობისას მშვიდობის დროსაც კი ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისათვის ბიუჯეტის 80 პროცენტს შეადგენდნენ. ლი ძი-შენმა აღნიშნა აგრეთვე, რომ გომინდანური რეჟიმის ბიუჯეტში არასოდეს არ ყოფილა ასიგნებანი მშენებლობის დასაფინანსებლად და რომ ღირსშესანიშნავია ახლანდელი ასიგნებანი ამ მიზნებისათვის, რომლებიც ბიუჯეტის 23,9 პროცენტს შეადგენენ. დასასრულს ლი ძი-შენმა იმედი გამოთქვა, რომ ყველა იყიდის სახალხო გამარჯვების სესხის ობლიგაციებს.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სახალხო გამარჯვების სესხი გამოუშვას 200 მილიონი ობლიგაციის რაოდენობით, ამასთან თვითეული ობლიგაცია ღირდეს ექვს კეტი ბრინჯს (1 კეტი უდრის 604,5 გრამს), 1,5 კეტი ხორბლის ფქვილს, 4 ფუტ ქსოვილს და 16 კეტი ნახშირს. ამ საქონლის ღირებულება განსაზღვრულ იქნება შესაბამისად მათი საშუალო საბითუმო გასაყიდი ფასებისა, რომლებიც ამჟამად არსებობენ შანხაიში, ტიანძინში, ხანკოუში, სიანში, კანტონსა და ჩუნცინში.

მოსახლეობას შეუძლია ობლიგაციები 1950 წლის იანვრიდან შეიძინოს. სახალხო გამარჯვების სესხის ეს ხუთპროცენტიანი ობლიგაციები მთლიანად იქნება გამოსყიდული ნაწილ-ნაწილად ხუთი წლის განმავლობაში.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა დაახასიათა ჩინეთის ეკონომიური მდგომარეობა და თქვა:

„ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაში არის სიძნელეები. ჩვენ უნდა განეუმარტოთ ხალხს, რით არის გამოწვეული ეს სიძნელეები, არ დავშალოთ ისინი. ამავე დროს ჩვენ უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ არის გზები და საშუალებანი ამ სიძნელეთა გადასალახავად. რამდენადაც არსებობენ გზები და საშუალებანი სიძნელეთა გადასალახავად, არის ჩვენი მუშაობის წარმატების იმედი და ბრწყინვალე მომავალი. ჩვენი მდგომარეობა წლითიწლობით გაუმჯობესდება და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ გაისად მდგომარეობა უკეთესი იქნება, ვიდრე წელს.

სამ-ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი ეკონომიკა მთლიანად იქნება აღდგენილი. უახლოესი 8-10 წელი ჩვენი ეკონომიკის უდიდესი განვითარების წლები იქნება“.

შემდეგ სხდომამ დაამტკიცა სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს და მასთან არსებული სამინისტროების საორგანიზაციო დებულებანი, აგრეთვე საორგანიზაციო წესები მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლთა მუნიციპალური, სამხრო და პროვინციული კონფერენციებისათვის.

მთავრობამ დაამტკიცა აგრეთვე სია დანიშვნებისა, მათ შორის აღმოსავლეთ ჩინეთის ახლად შექმნილი სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტისა, რომლის იურისდიქცია ვრცელდება შემდეგ ექვს პროვინციაზე: შანდუნის, ძიანსუს, ანხეიის, ჯეძიანის, ფუძიანისა და ტაივანის პროვინციებზე; ცენტრალური და სამხრეთ-ჩინეთის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტისა, რომლის იურისდიქცია ვრცელდება ექვს პროვინციაზე — ხენანის, ხუბეის ძიანსის, ხუნანის, გუანდუნისა და გუანსის პროვინციებზე; ჩრდილოეთ-დასავლეთ ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური კომიტეტისა, რომლის იურისდიქცია ვრცელდება ხუთ პროვინციაზე — შენსის, განსუს, ცინხაის, ნინსიის და სინძიანის პროვინციებზე; სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტისა, რომლის იურისდიქცია ვრცელდება ოთხ პროვინციაზე — სიჩუანის, გუიჯოუს, იუნანისა და სიკანის პროვინციებზე; სუიუანის პროვინციის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტისა, აგრეთვე პროვინციული სახალხო მთავრობების თავმჯდომარეთა დანიშვნისა.

თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა განაცხადა, რომ მხოლოდ ასეთი მტკიცე რაიონული ორგანიზაციების შექმნის გზით შეიძლება სწორად ვუხელმძღვანელოთ ისეთი დიდი ქვეყნის მუშაობას, როგორიც ჩინეთია. სახალხო რეჟიმმა მოსპო ისტორიული პირობები, რომლებიც ფარსულში ხელს უწყობდნენ ჩვენი ქვეყნის ფეოდალურ დაქუცმაცებას.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — 1 ოქტომბერი დაწესდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ დღედ.

ДЕЛЕГАЦИЯ ЕРЕВАНСКОЙ ОБЛАСТИ